

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის

სხდომის ოქმი N15

ხაშური

2018 წლის 07 ივნისი

14-00 სთ

სხდომის თავმჯდომარე: ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გურამ მაზიაშვილი, ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის კონსულტანტი ზაზა გვრიტიშვილი, საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი თეა ჯაფარაშვილი და მოწვეული პირი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კიკნაძე.

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 6 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2018 წლის იანვრის, თებერვლის, მარტსა და აპრილის თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

მომხს. დავით კიკნაძე

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კიკნაძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ამავე სამსახურის მიერ, 2018 წლის იანვრის, თებერვლის, მარტისა და აპრილის თვეში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის წერილობითი სახით). მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში, ადმინისტრაციულ წარმოებაში ელექტრონული შტამპისა და ხელმოწერის შემოღებასთან დაკავშირებით, საჭირო გახდება მუნიციპალიტეტის ორგანოების დებულებებში ცვლილებების განხორციელება, რასაც სამსახური მომზადებული შეხვდება.

აზრი გამოთქვას: ნატო კიკაძემ, ცოტნე ნოზაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2018 წლის იანვრის, თებერვლის, მარტსა და აპრილს თვის გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე

ანა ხარებავა

